სახელმწიფო შესყიდვის
ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №23
(საქონლის შეძენის შესახებ)

გორის რაიონი სოფ. ერგნეთი 28 დეკემბერი2014 წ.

ერთის მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი ერედვის მუნიციპალიტეტის ერგნეთ მამისაანთუბნის საჯარო სკოლა (შემდგომში "შემსყიდველი"), დირექტორი **მედეა ტრამაკიძის** სახით და მეორეს მხრივ **შ.პ.ს. „ქეი მარკეტი"** (შემდგომში "მიმწოდებელი"), მისი წარმომადგენელი ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1.ხელშეკრულების საგანია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ბიუჯეტის სახსრებით "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3-ე მუხლის პირველი პუნქტის "ს" ქვეპუნქტის საფუძველზე სხვადასხვა საკვები პროდუქტების (CPV15800000) შესყიდვა.
1.2 საქონლის რაოდენობა და ღირებულება იხილეთ დანართი N1.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.
2.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს **156,30** (ასორმოცდათექვსმეტი ლარი და ოცდაათი თეთრი) ლარს.
2.3. ხელშეკრულების ფასი შეიცავს "მიმწოდებლის" ყველა ხარჯებს, დაკავშირებულს საქონლის მიწოდებასა და "შემსყიდველისათვის" საკუთრებაში გადაცემასთან, ასევე კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

3. საქონლის მიწოდების ვადები და პირობები

3.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდებას უზრუნველყოფს "მიმწოდებელი" საკუთრი ხარჯებით.
3.2. საქონლის მიწოდების ადგილია: **გორის რაიონი სოფ. ერგნეთი.**
3.3. საქონლის მიწოდების თარიღად ითვლება "შემსყიდველის" ხელშეკრულების გაფორმებიდან **2014 წლის 31 დეკემბრის** ჩათვლით.
3.4. "მიმწოდებელი" ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი ხელშეკრულების გაფორმებიდან - შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნის შესაბამისად.
3.5. საქონლის მიწოდების პარალელურად "მიმწოდებელი" უზრუნველყოფს თანმხლები დოკუმენტაციის წარმოდგენას, კერძოდ, საგადასახადო ანგარიშფაქტურას და/ან სასაქონლო ზედნადებს.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. "მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას, რომ მიწოდებული საქონლის ხარისხი უპასუხებს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და დააკმაყოფილებს "შემსყიდველის" მოთხოვნებს.
4.2. "მიმწოდებელი" იძლევა გარანტიას, მიწოდებული ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დაკმაყოფილებს "შემსყიდველის" მოთხოვნებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1.საქონლის მიღების შედეგების მიხედვით "შემსყიდველისა" და "მიმწოდებლის" საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლები ადგენენ საქონლის მიღება-ჩაბარების აქტს და ხელს აწერენ მას.
5.2. შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, "შემსყიდველისა" და "მიმწოდებლის" საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.
5.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხიმგებელ პირს წარმოადგენს: **სკოლის დირექტორი.**

6. ანგარიშსწორბის ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1. "მიწოდებული" ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორბით.
6.2."შემსყიდველი" ვალდებულია (ეტაპობრივად ან უამისოდ) მოახდინოს ანგარიშსწორება "მიმწოდებელთან" ამ უკანასკნელის მიერ საქონლის მიწოდებისა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არა უგვიანეს 30 (ოცდაათი) დღისა.
6.3. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, "მიმწოდებელი" ვალდებულია წარმოუდგინოს "შემსყიდველს" საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, "შემსყიდველს" უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. "შემსყიდველი" ვალდებულია:
7.1.1. უზრუნველყოს მისთვის გადაცემული საქონლის შესაბამისი ანაზღაურების გადახდა "მიმწოდებლისათვის" წინამდებარე ხელშეკრულების პირობათა სრული დაცვით.
7.1.2. მიწოდებული საქონლის შესახებ მხარეთა შორის დადგენილი ფორმის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება უნდა მოხდეს საქონლის მიწოდებიდან არანაკლებ 7 (შვიდი) სამუშაო დღისა.
7.1.3 წერილობითი ფორმით გონივრულ ვადებში აცნობოს "მიმწოდებელს" საქონლის შემოწმების დროს აღმოჩენილი რაიმე წუნის შესახებ.

7.1.4. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.
7.1.5. უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.
7.2. "შემსყიდველი" უფლებამოსილია:
7.2.1. "მიმწოდებლისაგან" მოითხოვოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონლის ხელშეკრულებით დადგენილი ოდენობით და ვადაში მიღება.
7.2.2. "მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობათა შეუსრულებლობის შემთხვევაში შეწყვიტოს ხელშეკრულება.
7.2.3. თვით ან მოწვეული ექსპერტების მეშვეობით დაუბრკოლებლივ განახორციელოს "მიმწოდებლის" მიერ გადაცემული საქონლის ხარისხის შემოწმება.
7.2.4. "მიმწოდებლისაგან" მოითხოვოს საქონლის გადაცემის შესახებ დადგენილი ფორმის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.
7.2.5. შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის (საქონლის) ხარისხი.
7.2.6. მოსთხოვოს "მიმწოდებელს" ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.
7.3."მიმწოდებელი" ვალდებულია:
7.3.1. ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში, ხელშეკრულებით დადგენილი ოდენობით და ღირებულებით მიაწოდოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.
7.3.2. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში "შემსყიდველს" წარუდგინოს საქონელთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის ინფორმაცია და დოკუმენტები.
7.3.3. საკუთრი ხარჯებით უზრუნველყოს "შემსყიდველის" მიერ გამოვლენილი საქონლის მდგომარეობასთან დაკავშირებული ყველა ნაკლის აღმოფხვრა.
7.3.4. საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებით მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს "შემსყიდველს" მიწოდებული საქონლის შესახებ შესაბამისი პირველადი დოკუმენტაციის ასლები და ანგარიში, რომლის შემდეგაც ფორმდება დადგენილი ფორმის მიღება-ჩაბარების აქტი, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.
7.3.5.დაუყოვნებლივ აცნობოს "შემსყიდველს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის ან/და ხელისშემშლელ დაბრკოლებათა შესახებ.
7.3.6. ხელშეკრულების შესრულების პერიოდში სუბკონტრაქტების დადების აუცილებლობის წარმოშობის შემთხვევაში, წერილობით აცნობოს შემსყიდველს შესაბამისი თანხმობის მისაღებად.
7.3.7. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.
7.3.8. ხელშეკრულებიდან გამომდინარე გადაიხადოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადები.
7.4. "მიმწოდებელი "უფლებამოსილია:
7.4.1. "შემსყიდველისაგან" მოითხოვოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად და დროულად შესრულება.
7.4.2. მოსთხოვოს "შემსყიდველს" მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

8. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

8.1. "შემსყიდველი" უფლებამოსილია საქონლის მიწოდების პარალელურად მოახდინოს მიწოდებული საქონლის შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და "შემსყიდველის" მოთხოვნებთან.
8.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ "შემსყიდველი" დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს "მიმწოდებელს" დაწუნებული საქონლის რაოდენობისა და წუნდების მიზეზების მითითებით.
8.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება "მიმწოდებელს", საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
8.4. ხელშეკრულების ინსპექტირებას "შემსყიდველის" მხრიდან განახორციელებს:
8.5. ინსპექტირება განხორციელდება პერიოდულად, წარმოქმნილი საჭიროებიდან გამომდინარე.
8.6. "მიმწოდებელი" ვალდებულია საქონლის მიწოდების განხორციელების დროს ინსპექტირების ჯგუფს შემოწმების პროცესში აღმოუჩინოს ხელშეწყობა, არ შეუქმნას ხელისშემშლელი პირობები და შესასყისდ საქონელთან დაკავშირებით წარუდგინოს ნებისმიერი სახის ინფორმაცია და დოკუმენტები.

9. უფლებების გადაცემა

9.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თავისი უფლებები და მოვალეობები მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე
9.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებით და რისკით.

10. ფასები და ხელშეკრულების გადასინჯვის შესაძლებლობები

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
10.2. ხელშეკრულებით ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში დასაშვებია მხარეთა მიერ წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

11. სუბკონტრაქტორები

11.1. "მიმწოდებელმა" წერილობით უნდა აცნობოს "შემსყიდველს" ხელშეკრულებიდან გამომდინარე გასაფორმებლი ყველა სუბკონტრაქტის შესახებ, რომელსაც თან უნდა დაერთოს დასადები ხელშეკრულების პროექტის ასლი.
11.2. ხელშეკრულების ფარგლებში არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათვისუფლებს "მიმწოდებელს" ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

12. შეტყობინება

12.1. მხარის მიერ ნებისმიერი შეტყობინება ხელშეკრულების შესაბამისად მეორე მხარეს გაეგზავნება წერილობითი სახით, ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე.

12.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ რომელი უფრო გვიან დგება.

13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

13.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა წინაშე წარმოშობილი დაბრკოლების გამო ნაკისრი ვალდებულებების ვერ ან არაჯეროვნად შეუსრულებლობის საფრთხის შესახებ, მხარე ვალდებულია წერილობით აცნობოს მეორე მხარეს შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. ხოლო შეტყობინების მიმღები მხარე კი ასევე დაუყოვნებლივ აცნობებს თავის გადაწყვეტილებას აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

13.2. იმ შემთხვევაში თუკი ხელშეკრულების პირობების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

14. ფორს-მაჟორული სიტუაცია

14.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხიმგებლობისაგან დაკისრებულ მოვალეობათა ნაწილობრივ ან სრულად შესრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის ზემოქმედებით გამოწვეული გარემოებების შემთხვევაში.

14.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს ამის შესახებ.

14.3. მხარე არ თავისუფლდება პასუხიმგებლობისაგან, თუ კი ფორს-მაჟორული გარემოების დადგომამდე გონივრულ ვადაში შესაძლებელი იყო ნაკისრ ვალდებულებათ შესრულება.

15. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

15.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა გადაწყდება ურთიერთ მოლაპარაკების გზით.

15.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

16. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

16.1. ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმებლობით, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით და წესით. თითოეული მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აუნაზღაუროს ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ნებისმიერი პირდაპირი თუ არაპირდაპირი ზიანი;

16.2. "შემსყიდველის" მიერ ფინანსური ვალდებულების დროულად შეუსრულებლობის, ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში "მიმწოდებელს" უფლება აქვს დააკისროს საურავი იმ პერიოდისათვის არსებული ფინანსური ვალდებულების 0.2%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

16.3. "მიმწოდებელის" მიერ ნაკისრი ვალდებულების დროულად შეუსრულებლობის, ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში "შემსყიდველს" უფლება აქვს დააკისროს საურავი იმ პერიოდისათვის არსებული ფინანსური ვალდებულების 0.2%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

16.4. საჯარიმო თანხის გადახდა უნდა მოხდეს ვალდებულების შეუსრულებლობის მომენტიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.

16.5. საჯარიმო თანხის გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16.6. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5 %-ის ფარგლებში.

17. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა

17.1. ეს ხელშეკრულება შეიძლება გაუქმდეს მხარეთა შეთანხმებით ან ერთ-ერთი მხარის მიერ ამ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში. ხელშეკრულების ცალმხრივი შეწყვეტა მხარის მიერ ხდება გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების გზით, სადაც მითითებული იქნება შეწყვეტის საფუძველი. თუ პასუხი შეტყობინებაზე არ არის მიღებული 3 (სამი) დღეში (შეტყობინების გაგზავნის დღიდან ან ადრესატის მიერ შეტყობინების მიღების სავარაუდო დღიდან) მაშინ ამ ვადის დამთავრების შემდეგ ხელშეკრულება შეწყვეტილად ითვლება.

17.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათვისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

18.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის (გაფორმების) დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

19. სხვა პირობები

19.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.

19.2. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.

19.3. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.

19.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ თუ ის შედგენილია წერილობითი ფორმით და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

19.5. ამ ხელშეკრულების დანართები შეადგენენ მის განუყოფელ ნაწილს და თან უნდა ერთვოდეს მას.
19.6. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება მხარეებთან (ერთი პირი "მიმწოდებელთან" და ერთი პირი "შემსყიდველთან"). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

20. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

"შემსყიდველი"
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ერედვის მუნიციპალიტეტის
ერგნეთ მამისაანთუბნის საჯარო სკოლა
მისამართი:გორის რაიონი სოფ. ერგნეთი
საბანკო რეკვიზიტები:
ს.ს. საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი: BAGAGE22;
ანგ. № GE07BG0000001204386 00GEL
საიდენტიფიკაციო კოდის № 218049430;

დირექტორი: .....

მედეია ტრამაკიძე

"მიმწოდებელი"
შ.პ.ს. „ქეი მარკეტ"
მისამართი: .გორი პუშკინის ქN2
საბანკო რეკვიზიტები:
ს.ს. საქართველოს ბანკი
საბანკო კოდი: BAGAGE22;
ანგ. №GE97BG0000000853093500;

საიდენტიფიკაციო კოდის № 406115840;

წარმომადგენელი .....

შ.პ.ს. ,,ქეი მარკეტ"

დანართი 1

№	საქონლის დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ჯამი	მიწოდების ვადა	მიწოდების ადგილი
1	ნამცხვარი შოკოლადით	ცალი	22	0.45	9.90	28.12.2014წ.–31.12.2014წ.	გორი
2	ნამცხვარი ბანანის	ცალი	17	0.45	7.65	28.12.2014წ.–31.12.2014წ.	გორი
3	ნამცხვარი კარამელით	ცალი	21	0.45	9.45	28.12.2014წ.–31.12.2014წ.	გორი
4	ბონი–ბონი ყავის	კგ	1.52	14	21.28	28.12.2014წ.–31.12.2014წ.	გორი
5	მოხარშული შესქელებული რძე	კგ	1.202	6.6	7.93	28.12.2014წ.–31.12.2014წ.	გორი
6	კარამელი კოწახურის	კგ	3.008	4.3	12.93	28.12.2014წ.–31.12.2014წ.	გორი
7	კანფეტი ,,ტომი" ბანანის	კგ	1.202	11.6	13.94	28.12.2014წ.–31.12.2014წ.	გორი
8	შოკოლადი ,,კოროვკა"	კგ	1.214	6.9	8.38	28.12.2014წ.–31.12.2014წ.	გორი
9	შოკოლადი ,,ბიმ–ბომი"	კგ	1.206	6.9	8.32	28.12.2014წ.–31.12.2014წ.	გორი
10	კანფეტი კარამელი ლოლო	კგ	1.27	7.95	10.10	28.12.2014წ.–31.12.2014წ.	გორი
11	შოკოლადი კარავან პუსტინი	კგ	1.204	12.6	15.17	28.12.2014წ.–31.12.2014წ.	გორი
12	პარკი	ცალი	100	0.05	5.00	28.12.2014წ.–31.12.2014წ.	გორი
13	ჩხირები მარილიანი	ცალი	55	0.15	8.25	28.12.2014წ.–31.12.2014წ.	გორი
14	მანდარინი	კგ	12	1.50	18.00	28.12.2014წ.–31.12.2014წ.	გორი
					156.3		

შემსყიდველი:

მიმწოდელი: